განკარგულება

№ 1 27 ოქტომბერი 2021წ

სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის მიერ წარმოდგენილი კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით, გამოცხადდეს სამეცნიერო-საგრანტო კონკურსი შემდეგი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით:

1. მათემატიკა
2. კომპიუტერული ტექნოლოგიები
3. ფიზიკა
4. ბიოლოგია
5. გეოგრაფია
6. ქიმია

კონკურსის ვადები განისაზღვროს შემდეგი განრიგის მიხედვით:

- კონკურსის გამოცხადება - 28.10.2021;
- პროექტისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა - 8.11.2021 – 10.11.2021 (17 სთ-მდე);
- პროექტების განხილვა - 11.11.2021-15.11.2021;
- ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და შედეგების გამოცხადება - 16.11.2021.

პროექტისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა:

წარსადგენი დოკუმენტები ელექტრონულად უნდა გაიგზავნოს ფოსტაზე - nana.julakidze@atsu.edu.ge;
ასევე, დოკუმენტები ფიზიკურად უნდა ჩაბარდეს მისამართზე: თამარ მეფის ქუჩა, №59. აწსუ-ს II კორპუსი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი, II სართული, ოთახი №2401;

დოკუმენტაციის მისაღები სამუშაო საათებია: 10:00-16:00.

კონკურსის პირობები:

პროექტი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

✓ შესაბამისობა უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკას (კვლევით პრიორიტეტებთან) და ფაკულტეტის კვლევით პროფილთან;

✓ აუცილებელი დასაბუთება კვლევითი პროექტის აქტუალობის შესახებ (საპროექტო წინადადება, ექსპერტთა რეკომენდაციები, კავშირი ბიზნესთან, კომერციალიზაცია);

✓ ფაკულტეტზე (დეპარტამენტებს შორის) და/ან ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობა;

✓ საერთაშორისო და/ან ადგილობრივ დონეზე პარტნიორების ჩართულობა;

✓ პროექტის ხელმძღვანელი – აწსუ-სთან აფილირებული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ჩართული მხარე - სტუდენტები (სამაგისტრო, სადოქტორო და ა.შ.);

✓ პროექტი უნდა მოიცავდეს განხორციელების გეგმას, ბიუჯეტს, მონიტორინგის გეგმასა და მასში ჩართული პერსონალის რეზიუმეებს (იხ. დანართი 2, დანართი 3);

✓ პროექტის დაფინანსების შემთხვევაში სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება შემდეგ ბაზებსა და ჟურნალში: Scopus, Web of Science, ERIH plus, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე;
✓ პროექტის საერთო ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 5500 ლარს;
✓ პროექტს წარსადგენად თან უნდა ერთვოდეს განცხადება (ფორმა იხ. დანართი 4).

კონკურსის პროცესის მსვლელობაზე კოორდინაცია დაევალოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორ მირანდა მნაცაკანიანს.

საფუძველი: აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება „აწსუ-ს ფაკულტეტებზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით სახელმძღვანელო კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ"; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება (ოქმი №4, 27.10.2021 წ.); ფაკულტეტის დეკანის წარდგინება.

ფაკულტეტის დეკანი: ასოცირებული პროფესორი: /ნანა ჯულაყიძე/

ფუნდამენტური კვლევებისათვის სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ფუნდამენტური კვლევებისათვის სამეცნიერო გრანტების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა ანალიზს. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველს. ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი ხელს უწყობს კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, გამორჩეული ხარისხის ინოვაციური კვლევების განვითარებას, მათ მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას, კვლევის პროცესის ინტეგრაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში.

2. ფუნდამენტური კვლევებისათვის სამეცნიერო გრანტების კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:

1. მათემატიკა
2. კომპიუტერული ტექნოლოგიები
3. ფიზიკა
4. ბიოლოგია
5. გეოგრაფია
6. ქიმია

კონკურსი ფინანსდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლია აწსუ - ში შემავალი დეპარტამენტების და სამეცნიერო ცენტრების აფილირებულ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს.

2. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი – ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის, მაგისტრატურის სტუდენტი.

3. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი – აწსუ-ს აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

4. სასურველია პროექტში ჩართული იყოს ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ი – დოქტორი ან მაგისტრი, ძირითადი პერსონალიდან, ასევე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტი.

5. პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალი – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში; დაუშვებელია დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა.

6. სასურველია პროექტში კონსულტანტის სტატუსით ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევენ ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში. კონსულტანტი არ შეიძლება იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი/გრანტის მიმღები.

7. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანადამფინანსებელი – იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები.

8. ერთი და იგივე პირი შეიძლება მონაწილეობდეს არუმეტეს ორ საგრანტო კონკურსში და ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ერთ პროექტს.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 1 წელი.

2. ფაკულტეტზე გამოვლინდება არაუმეტეს ორი გამარჯვებული პროექტი. თითოული პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრება არაუმეტეს 5500 (ხუთიათასხუთასი) ლარის რაოდენობით.
3. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:
ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
გ) მივლინება;
დ) საქონელი და მომსახურება;
ე) არაფინანსური აქტივები;
ვ) ზედნადები ხარჯები.
4. პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს კვლევის მასალებზე დაყრდნობით, მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში (ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების, ოფისის ხარჯების კატეგორიიდან).

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა აწსუ-ს ელექტრონულ ბაზაში (Forms, Teams) უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შინაარსობრივი ნაწილისა და თანდართული დოკუმენტებისგან:
ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ;
ბ) საპროექტო წინადადება;
გ) პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV);
დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი;
ე) პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება.
2. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ განკარგულებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით;
3. პროექტის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის შემდეგ, ელექტრონული ბაზა დააგენერირებს „განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ", რომლის ნაბეჭდი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ფაკულტეტის ბეჭდით/ბეჭდებით დამოწმებული წარდგენილ უნდა იქნას აწსუ-ს კვლევისა და მეცნიერების ხელშემწყობ ცენტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი კონკურსში დარეგისტრირებულად არ ჩაითვლება.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები და პროექტების შეფასება

1. კონკურსის ეტაპებია:
ა) კონკურსის გამოცხადება;
ბ) საგრანტო განაცხადების წარმოდგენა;
გ) საგრანტო განაცხადების წინასწარი შერჩევა საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
დ) შერჩეული საგრანტო განაცხადების შეფასება;
ე) გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება.
2. დადგენილი ვადების დარღვევით წარდგენილი საგრანტო პროექტები საკონკურსოდ არ განიხილება.
3. ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს საკონკურსო კომისიას;
4. საკონკურსო კომისია საგრანტო განაცხადების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს საგრანტო განაცხადების წინასწარ შერჩევას. საგრანტო განაცხადები, რომლებიც არ შეესაბამება საკონკურსო პირობებს, არ განიხილება კონკურსის მომდევნო ეტაპზე;
5. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემათ დამოუკიდებელ ექსპერტებს;
6. დამოუკიდებელი ექსპერტები/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ი პროექტს აფასებენ ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი 7-ის შესაბამისად. პროექტების შეფასების პროცესი ანონიმურია.

მუხლი 6. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. დამტკიცების შემდეგ აწსუ უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას.
2. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 7. პროექტის შესრულების ანგარიში

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში, პროექტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში;
2. ფინანსური და პროგრამული ანგარიში:
ა) ფინანსური ანგარიში გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში აწსუ-ს მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
ბ) პროგრამული ანგარიში გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულებას, რომლის კონტროლს ახორციელებს აწსუ-ს კვლევის განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრი.
3. აწსუ-ს კვლევის განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრი, პროექტების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, შესაბამის ანგარიშს წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

მუხლი 8. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ, პროექტის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ხილვადია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: Scopus, Web of Science, ERIH plus, აწსუ - ს მოამბე.
2. თუ გრანტის მიმღები ვერ უზრუნველყოფს მუხლი 8, პუნქტი 1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესრულებას, გრანტის ძირითადი პერსონალი ვალდებულია აწსუ-ს ბიუჯეტში ერთი წლის განმავლობაში დააბრუნოს მიღებული თანხა.

განაცხადი კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება	
პროექტის ხანგრძლივობა	
აწსუ-დან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში) (ლარი)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
აწსუ - ს ფაკულტეტი, დეპარტამენტი	

პროექტის სამეცნიერო კვლევის მიმართულება:

- ☐ მათემატიკა
- ☐ კომპიუტერული ტექნოლოგიები
- ☐ ფიზიკა
- ☐ გეოგრაფია
- ☐ ბიოლოგია
- ☐ ქიმია

აბსტრაქტი

პროექტის მოკლე აღწერა (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 200 სიტყვა).

1. სამეცნიერო -კვლევითი პროექტი

1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება, კვლევის მოსალოდნელი შედეგი (კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; კვლევის მიზნები და ამოცანები, აქტუალობის დასაბუთება, კვლევის მეთოდოლოგია და ა. შ.) (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1200 სიტყვა);

1.2. პროექტის შესაბამისობა უნივერსიტეტის კვლევით პოლიტიკასთან და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევით და საგანმანათლებლო პროგრამების პროფილთან (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 250 სიტყვა);

1.3. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა (აღწერეთ არსებული ან პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ადგილობრივი ან/და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები და აქტივობები, მათ შორის უცხოელ კონსულტანტთან თანამშრომლობა (უცხოელი კონსულტანტის არსებობის შემთხვევაში) (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 250 სიტყვა).

2. პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი

ინფორმაცია ძირითადი პერსონალის შესახებ					
№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პოზიცია პროექტში	აკადემიური ხარისხი	ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსი
1					
2					
...					

ინფორმაცია დამხმარე პერსონალის შესახებ	
№	პოზიცია პროექტში
1	
2	
...	

პროექტის განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა		
№	წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციაში (არსებობის შემთხვევაში) არსებული ინფრასტრუქტურა და აპარატურა	განთავსების ადგილი (წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში
1		
2		
3		
...		

პროექტის გეგმა-გრაფიკი

პროექტის ხელმძღვანელი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის _____დეპარტამენტი:
პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი:

ამოცანები	პერიოდი	პასუხისმგებელი პირი
№1 ამოცანის დასახელება		
1. აქტივობა [ტექსტი]		
2. აქტივობა [ტექსტი]		
№2 ამოცანის დასახელება		
№3 ამოცანის დასახელება		
№4 ამოცანის დასახელება		

ფუნდამენტური კვლევის ბიუჯეტი		
№	ხარჯვის კატეგორია	თანხა
1	საქონელი და მომსახურება	0
1.1	ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება	0
1.2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება	0
1.3	მივლინება	0
1.4	წარმომადგენლობითი ხარჯი	
1.5	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0
2	არაფინანსური აქტივი	0
სულ ჯამი:		0
შენიშვნა: ფუნდამენტური კვლევების დებულების მესამე მუხლის მე-3 პუნქტის ხარჯვითი კატეგორიები უნდა ემთხვეოდეს ბიუჯეტის ხარჯვის კატეგორიებს		

დანართი 3

პროექტში მონაწილე პერსონალის პირადი ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია

პირადი ნომერი: **ელ.ფოსტა:**

სრული სახელი: **მობილურის ნომერი:**
სქესი: **ქვეყანა:** **დაბადების თარიღი:** **ქალაქი:** **მოქალაქეობა:** **მისამართი:**

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:
მინიჭების თარიღი:
მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:
ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

№	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Scopus		

დანართი 4

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს ასოცირებულ პროფესორ ნანა ჯულაყიძეს
პროექტის ხელმძღვანელის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2021 წლის აწსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოცხადებული კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ:

ქვემორე ხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებას „აწსუ-ს ფაკულტეტებზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით სახელმძღვანელო კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ", ასევე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას.

ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტის შესახებ ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს და პლაგიატის ელემენტებს.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ კვლევითი პროექტების 2021 წლის კონკურსში.

პროექტის სახელწოდება ქართულად			
პროექტის ხანგრძლივობა			
აწსუ-დან მოთხოვნილი თანხა (ლარი)			
თანადაფინანსება (ლარი)			
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)			
პროექტის სამეცნიერო მიმართულება			
დეპარტამენტის სრული სახელწოდება:			
ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი:		**ელ.ფოსტა:**	
		ტელეფონი:	
ხელმოწერა:			

განცხადების წარდგენის თარიღი: